ხაშურის მოამბე

№18 (489) 20 მაისი, სამშაბათი, 2025 წელი

ღია წერილი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ ჯეი დი ვანსს

რამდენიმე კვირის წინ, მოგმართეთ წერილით ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებთან დაკავშირებით. აღნიშნულ წერილს წინ უსწრებდა ჩემი საჯარო განცხადებები, სადაც ღიად გამოვხატავდი საქართველოს მზაობას, სუფთა ფურცლიდან, კონკრეტული გზამკვლევით განგვეახლებინა სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსა და აშშ-ს შორის. თუმცა, პასუხი ჩვენს წერილზე და საჯარო განცხადებებზე დღემდე არ მიგვიღია. მეტიც, დღემდე უმაღლეს დონეზე არ შემდგარა არავითარი კომუნიკაცია საქართველოს და აშშ-ს ხელისუფლებებს შორის.

აღნიშნული დუმილი გასაკვირია ქართველი ხალხისთვის და საქართველოს ხელისუფლებისთვის რამდენიმე მიზეზის გამო:

- პირველ რიგში, უკვე მრავალი წელია, საქართველო არის აშშ-ს ყველაზე საიმედო პარტნიორი ჩვენს ურთულეს რეგიონში, რომელსაც აშშ-სთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. საქართველო მხარში ედგა აშშ-ს ყველაზე ცხელ წერტილებში, მათ შორის ერაყში და ავღანეთში, სადაც საქართველო, ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი ჯარისკაცით იყო წარმოდგენილი. მხოლოდ ამ ორ მისიაში მონაწილეობით, ჩვენმა პატარა ქვეყანამ აშშ-ს 2.5 მილიარდი დოლარი დაუზოგა, რაც აშშ-ს ბიუჯეტიდან საქართველოსთვის გაწეულ რეალურ (!) დახმარებას მრავალჯერ აღემატება (რეალურ დახმარებაში არ ვთვლით თანხებს, რომელიც აშშ-ს ბიუჯეტიდან ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის გადასარჩენად გამოიყო 2008-11 წლებში, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა, "დიფ სთეითის" დავალებით, რუსეთთან ომი დაიწყო; (რეალურ დახმარებაში, ასევე, არ ვთვლით თანხებს, რომელიც ამერიკის საელჩოს, USAID-ის, NED-ის, სოროსის ფონდის და სხვა არხებით, საქართველოში რადიკალიზმისა და სიძულვილის გასაღვივებლად, რევოლუციების მოსაწყობად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იმიჯის შესალახად, რელიგიური ექსტრემიზმის წასახალისებლად, სახელმწიფო ინსტიტუტების დასასუსტებლად, გენდერული და ლგბტ-პროპაგანდის საწარმოებლად და სხვა მსგავსი მიზნებით გამოიყოფოდა). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველო მრავალი წლის მანძილზე აშშ-სთვის ნამდვილ სტრატეგიულ პარტნიორად რჩებოდა და ამგვარი სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენის მზაობას დღესაც გამოხატავს, ახალი ადმინისტრაციის დუმილი როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, ისე ქართველი ხალხისთვის გასაკვირია;

- საერთაშორისო რეიტინგების თანახმად, საქართველო არის ლიდერი რეგიონში დემოკრატიის, სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, მედიის თავისუფლების, სასამართლოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერის, კორუფციის სიმცირის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. საქართველოს ლიდერობას ადასტურებენ ისეთი ინსტიტუტებიც, რომელთა მიმართ თქვენს ადმინისტრაციას განსაკუთრებული ნდობა აქვს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით და იმ ფონზე, რომ თქვენ არაერთ, თუნდაც, ღიად არადემოკრატიულ და ავტორიტარულ სახელმწიფოსთანაც აწარმოებთ აქტიურ დიალოგს და კომუნიკაციას, საქართველოსთან დაკავშირებით თქვენს დუმილს ჩვენთვის ლოგიკური ახსნა არა აქვს;

- რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ დავაკვირდებით ჩვენი ხელისუფლებისა და თქვენი ადმინისტრაციის საჯარო რიტორიკას, თვალშისაცემია სრული ღირებულებითი და იდეოლოგიური თანხვედრა ჩვენს ხედვებს შორის. ჩვენ ღიად ვსაუბრობდით „დიფ სთეითის", USAID-ის, NED-ის და სხვა შესაბამისი სუბიექტების დანაშაულებრივ საქმიანობაზე რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე თქვენ იდენტურ განცხადებებს გააკეთებდით. ჩვენ გვაქვს სრულიად იდენტური შეფასებები უკრაინის ომთან, გენდერულ და ლგბტ-პროპაგანდასთან და მრავალ სხვა საკითხთან დაკავშირებით. ამგვარი ღირებულებითი და იდეოლოგიური თანხვედრის ფონზე, ქართველი ხალხის პირვანდელი მოლოდინი იყო, რომ საქართველო იქნებოდა ერთ-ერთი პირველი, რომლის მიმართაც თქვენი ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავდა. ამგვარი ინტერესი თქვენ გამოხატეთ რუმინეთისა და გერმანიის მიმართ, სადაც ევროპული ბიუროკრატიის მხარდაჭერით, არადემოკრატიული აქტები განხორციელდა. თუმცა, ქართველი ხალხის და ჩვენდა გასაკვირვად, საქართველოსთან მიმართებით ამგვარი ყურადღება თქვენ დღემდე არ გამოგიჩენიათ.

მეტიც, კვლავაც ძალაშია სრულიად გაუგებარი სანქციები საქართველოს ვიცე-პრემიერის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიმართ, რომლებმაც ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი და USAID-ის ხაზით დაფინანსებული რევოლუციის მცდელობა და ძალადობა ეფექტურად აღკვეთეს. გარდა ამისა, რამდენიმე დღის უკან ამერიკის კონგრესმა მიიღო აბსურდული კანონი - ე.წ. „მეგობარი აქტი", რომელიც არის მტრულად გამსჭვალული ქართველი ხალხის და მის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ. სიტყვა „მეგობარის" მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს კანონი გვახსენებს ჯორჯ ორუელის მოდელს, რომლის მიხედვითაც ომი არის მშვიდობა, მტერი კი - მეგობარი. სხვადასხვა პარლამენტისგან აბსურდული აქტების მიღებას ჩვენ ბოლო პერიოდში მიჩვეული ვართ

და ამდენად, „მეგობარი აქტზე" საერთოდ არ გავამახვილებდით ყურადღებას, რომ არა ის გარემოება, რომ ამ აქტს არაერთი სუბიექტი თქვენს ადმინისტრაციას მიაწერს. ამ აღქმას ამყარებს ის გარემოებაც, რომ თქვენს ადმინისტრაციას „მეგობარი აქტზე" არავითარი კრიტიკული განცხადება არ გაუვრცელებია. ამ ყველაფრის გამო, ეს კანონი ამცირებს ქართველი ხალხის ნდობას არა მხოლოდ კონგრესის, არამედ, სამწუხაროდ, თქვენი ადმინისტრაციის მიმართაც, რომელსაც ქართული საზოგადოება სხვაგვარი იმედით შეჰყურებდა.

ბოლოდროინდელი მოვლენები ქართულ საზოგადოებაში აჩენს განცდას, რომ განცხადებები „დიფ სთეითის" დამარცხების შესახებ მხოლოდ ამ უკანასკნელის რებრენდინგის მცდელობაა და სხვა არაფერი. ხალხისთვის გასაკვირია, რომ თქვენ ბაიდენის გადაწყვეტილებებს მკაცრად აკრიტიკებთ, მაგრამ მის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებს დღემდე არ ასწორებთ.

თუმცა, ჩვენი ხელისუფლება საჯარო განცხადებებში კვლავაც გამოხატავს ოპტიმიზმს იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენი ადმინისტრაცია „დიფ სთეითის" დამარცხებას რეალურად შეძლებს, რაც ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვაზე და სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენაზე უსათუოდ აისახება. რეალურადაც, ამის ძალზე დიდი იმედი გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავაც გაგრძელდება ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში დაგეგმილი რევოლუციური სცენარის მოქმედება. შეგახსენებთ, რომ USAID-ისა და NED-ის მიერ დატრენინგებული და დაფინანსებული 250-მდე ადამიანი დღემდე ყოველდღიურად იკრიბება ქვეყნის დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე, რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ „დიფ სთეითს" რევოლუციის გეგმა თაროზე ჯერაც არ შემოუდია.

როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ კითხვები კითხვებს ემატება, ჩვენ მაინც ვინარჩუნებთ ოპტიმიზმს და გვაქვს იმედი, რომ „დიფ სთეითთან" თქვენი დაპირისპირება გულწრფელია და ის „დიფ სთეითის" დამარცხებით დასრულდება. საქართველოს ხელისუფლება მოთმინებით ელოდება ამ მომენტს, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვას და სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენას ჩვენს ქვეყნებს შორის.

წარმატებებს გისურვებთ ამ ბრძოლაში!

ამერიკის შეერთებულ შტატებს ვუსურვებთ სიმტკიცეს და კეთილდღეობას!

ირაკლი კობახიძე, პრემიერ-მინისტრი

სურამის შემოვლითი მაგისტრალური გზის მშენებლობა დასრულების ეტაპზეა

ახალი მონაკვეთი მოიცავს 4 ზოლიან, 6.4 კმ-იან მაგისტრალს, 11 ხიდსა და 5 გვირაბს, ამ დროისათვის, ყველა ხიდი და გვირაბი უკვე აშენებულია

ზემო ოსიაური-ჩუმათეთელის გზის მეორე მონაკვეთი, ხაშურის შემოვლითი



13 კმ-იანი გზის გაგრძელებაა, ახალი გზა გვერდს აუვლის სურამსა და ჩუმათელეთს და რიკოთის საუღელტეხილო გზის პირველ გვირაბს შეუერთდება

მაგისტრალი შენდება საერთაშორისო საგზაო უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფილი იქნება თანამედროვე საგზაო განათების სისტემით

სურამის შემოვლითი გზა დაბა სურამს ტრანზიტული მოძრაობისა და საცობებისგან განტვირთავს, შეამცირებს გადაადგილების დროს და გააუმჯობესებს უსაფრთხოების ხარისხს

მიმდინარე სამუშაოები ინფრასტრუქტურის მინისტრმა, რევაზ სოხაძემ, მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა

შეხვედრა მერიაში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი მოადგილეებთან - გიორგი პაპიაშვილთან და ზვიად გოგუაძესთან ერთად მერიის სამსახურების ხელმძღვანელებს, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებსა და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელებს შეხვდა.

შეხვედრაზე მერმა ხაზი გაუსვა მიმდინარე პროექტების ვადებში დასრულებისა და დღის წესრიგში არსებული პრიორიტეტული საკითხების დროულად გადაწყვეტის მნიშვნელობას.

შესაბამისმა სამსახურებმა მიიღეს დავალება, მაქსიმალური ყურადღება დაუთმონ საჭირო ნებართვების გაცემის პროცესს, რათა შეუფერხებლად გაგრძელდეს ყველა ის პროექტი, რომელიც პირდაპირ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ტურიზმთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოფენა, რომელშიც ჩვენი მუნიციპალიტეტიც ღირსეულად წარსდგა

ხაშურის მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-16 საერთაშორისო გამოფენაში „EBIT 2025“ რომელიც ბათუმში გაიმართა.

ვიზიტორებმა მიიღეს ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობების, ტურისტული ობიექტებისა და პოტენციალის, რესურსებსა და მარშრუტების შესახებ.

ღონისძიებაში ჩართულები იყვნენ ხაშურელი მეწარმე ქალები, სპეციალურად მოწყობილ კუთხეში მსურველებს ნაზუქისა და თონის პურის დეგუსტაციაც შეეძლოთ.

გამოფენაზე, რომლის მიზანიც იყო ტურისტული მიმართულებით მომუშავე კომპანიებს შორის თანამშრომლობის დამყარება და ახალი კონტაქტების მოძიება, 70-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო დაწესებულება მონაწილეობდა.

აგარის ქუჩაზე საგზაო ნიშნები მონტაჟდება

ხაშურში, აგარის ქუჩაზე, გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობიდან გამომდინარე, უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელი პრევენციული ზომები ტარდება. მიმდინარეობს საგზაო ნიშნების დამონტაჟება. პროექტის ფარგლებში მოეწყობა საგზაო მონიშვნები,

ლითონის ზღუდარი და სხვა.

ხაშურის მუნიციპალიტეტი მოუწოდებს როგორც მძღოლებს, ისე ქვეითებს იმოძრაონ ფრთხილად და მოძრაობის წესების დაცვით, რათა თავიდან ავირიდოთ საგზაო ინციდენტები.

ამასთან დამატებით ვაცნობებთ მოქალაქეებს, რომ ბორჯომის ქუჩაზე წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგებისთანავე მოხდება ქუჩის სრული რეაბილიტაცია - აღდგება ასფალტის საფარი, მოწესრიგდება ტროტუარები და სანიაღვრე სისტემა.

მუნიციპალიტეტის მერია

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17).

ცხრამუხის ბოლო - ადგილი; აქ ბერუა ქურდაძემ 1784 წლის 11 აპრილს მიწა მიჰყიდა გიორგი აბაშიძეს: ,,ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვით თქვენ, აბაშიძეს გიორგის მე, ბერუა ქურდაძემ და ძმამან ჩემა ადამამ, შვილმან და მომავალმან სახლისა ჩემისამან. ასე რომ მიწა მოგყიდეთ ცხრამუხის ბოლოს. იქით შერმაზან ძიძიშვილის მიწის მიდგმამდი, ზეით გზამდი ექვსი დღის მიწა, აქეთ ჩხეიძის მიწის მიდგმამდი. მოგყიდეთ სიგძით და განით, სიგძე ოთხმოცდაცამეტი მხარი. აქ ქვეით არდაზიანის მიწის მიდგმამდი“. ძველი გზა - ადგ., გზა დასავლეთის მხარეს. მოუყვება მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს ქვიშხეთისაკენ.

წისქვილის მიწები//რგვალი მიწები - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,წისქვილი იდგა. რგვალად იყო შემოზღუდული და მიტომ დაარქვეს რგვალი მიწები”.

წიფლნარი - ადგ., ტყე, საძოვარი.

წიწილგოხი - ადგ., სათესი.

წმინდა ნინო - ადგ., სალოცავი.

ჭალის მიწები - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჭალელების მოსაზღვრე ვიყავით, სილა მიწა იყო და კარგი სახნავი იყო”.

ჭანდრები//ჭანდრის მიწები - ადგ., სახნავი, მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჭანდრები იყო გაშენებული”.

ჭინჭარაული//ჭინჭარაულები - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჭალაში ალაგი იყო და ჭინჭარი ამოდიოდა”, ,,სააგურეების ჩრდილოეთით იყო. მეტწილად ჭინჭარი ყოფილა”, ღონღაძეებს შორის, 1941 წლის 25 ოქტომბრის გაყრის განაჩენით, სიმონ ღონღაძეს ერგო ,,...ჭინჭარაულის ბოსტნის ორი მესამედი” .

ჭინჭარაულის წყარო - ადგ., წყარო აღმოსავლეთის მხარეს.

ხმალაძეების უბანი - ადგ., უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში.

ჯაბას ტოტი - ადგ., სათევზაო ადგილი მდ. მტკვარზე. ,,რბონის თავზეა. ჯაბა ჩიტაძე იყო, აქ დაიღუპა და ამის შემდეგ დაარქვეს სახელი“. ჯ ე რ მ ა / / ჯერმები - ადგ., ტყე, სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ტყე იყო, მთელი სოფლის საქონელი აქ იზრდეოდა”, ,,ბუთუას მორევის გაგრძელებაზეა, თელები იდგა. გაუვალი ტყე იყო. ზღმარტლი, კუნელი და სხვა მცენარეები იყო. შიგ რომ შევიდოდით, გვეშინოდა. სახნავსაც ერქვა, რაც თავისუფალი ადგილი იყო, ჭაობიანი ადგილი იყო, ყველაფერი მოგვყავდა”.

ნასოფლარი ჯ ვ ა რ თ მ უ ხ ა

ამირანის სათივე - ადგ., ტყე, სატიბი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხაეს.

ბესას სათივე - ადგ.,ტყე სამხრეთის მხარეს.

ბლიაძეების სვანი - ადგ., ტყე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს.

ბლიაძეების სვანის წყარო - ადგ; წყარო, ღელე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს.

ბოგირღელე - ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს. ნაწური წყალი ჩამოდის.

გადასამბელი სერი - ადგ., სერი, ტყე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ორივე მხარეს ღელეები ჩამოუდის, სვანებს შუა არის ეს სერი. ღელეებს ვეძახით სვანის წყაროს და ბლიაძეების სვანის წყაროს”.

გაკოდილი ქვა - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,კლდეა შუაზე გაყოფილი”.

გიორგის ჭაობი - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,თაგვეთის ღელის გამოღმაა, ლომიძე იყო”.

გოგალაძეების მიწები - ადგ; სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

დაბლობის მიწები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,მდინარე მტკვრის ნაპირზეა”.

დიდი ახო - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს.

დიდი ვაკე - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

დიმიტრის საზღვრები - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,დიმიტრი ლომიძე იყო”.

ეკლარი - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,მაყვლის ეკლარი იცის ხშირად”.

ვაკიფერდა - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო. გოგალაძეებს ეკუთვნოდა”.

ზაზიების უბანი - ადგ; უბანი, იგივე ლომიძეები

ზაქარიას მიწები- ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ზაქარია ნოზაძე იყო”.

ზედა ვაკე - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო”.

თაროიანი კლდე - ადგილი სამხრეთის მხარეს.

ილიკოს ტბა - ადგილი, ,,ტბა აღარ არის“

კალოები - ადგილი დასავლების მხარეს.

კალოების სერი - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ლომიძეებს ეკუთვნოდა”.

კარიერი - ადგილი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ქვას ტეხდნენ და საფლავის ქვებს აკეთებდნენ”, ,,საფლავისა და კუთხის ქვებს ტეხდნენ“.

კვაჭიხურეები - ადგ; უბანი, იგივე გოგალაძეები.

კლდისთავი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.

კურდღელეების უბანი - ადგ; უბანი აღმოსავლეთის მხარეს. იგივე ლომიძეების უბანი.

ლეკიანი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს. ,,ხის სახელია ლეკი. ფოთლოვანია, ნეკერჩხალს ჰგავს, მასზე მაგარია”.

ლელიანი ტბა - ადგ; ტბა ჩრდილოეთის მხარეს. ,,პატარა ტბაა“.

ლომიძეების წყარო - ადგ; წყარო სოფლის ცენტრში.

მათიას ყანა - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,მათია გოგალაძე იყო”.

მინდვრები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.

მუხების მიწა - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ახლა კერძო ხალხს აქვს”.

მუხნარი - ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,სულ მუხნარია”.

მშრალი ღელე - ადგ; ღელე აღმოსავლეთის მხარეს. ,,მარტო წვიმის დროს მოდის წყალი”.

მყრალი ტბა - ადგ; ტბა ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,მყრალი წყალია. არ გადის წყალი”. ,,სოფელ ჯვართმუხის ახლოს ერთი პატარა ტბა მდებარეობს, რომელიც სხვადასხვა სუნს გამოსცემს და არც ზამთრობით იყინება. ამ ტბას ადგილობრივი მცხოვრებნი მყრალ ტბას უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ამ ტბას ყოველ ზაფხულს მრავალი სტუმარი ეწვევა ხოლმე. როგორც დახელოვნებულ ექიმთან, ისე მიდიან მასთან, ამ წყალში საბანაოდ რევმატიზმით და ქარებით შეპყრობილი ადამიანები“.

ნადიკვარი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს. ,,მუხნარი და რცხილაა”.

ნაზარები - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს. ,,აღმართია, დაზარებია ვიღაცას ასვლა”.

ნაკალოვარი - ადგილი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,კალოები ჰქონებოდათ კერძოობაზე, ადრე”.

ნაგრიხელები//ნამგლისღელები - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.

ნამუხოდოვარი - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ახლა საძოვარია. ადრე მუხუდო თესებოდათ”.

ნასასტრი - ადგ., სახნავი, საძოვარი, სალოცავი სამხრეთის მხარეს. ,,საჯვარე იყო”, ,,ეკლესია დგას ახლადაშენებული”.

ნაქერალი - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ადრე ქერი ითესებოდა, კერძოობაზე, ძველად. ამ ნაქერალში საჯვარე იყო. ორი ნაძვი იდგა. აღდგომის ერთი კვირის თავზე ვიცოდით ბატონების დღეობა - ხუზარაობა”. ნაჩეხი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს. ოსიას ტყე - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,პატარა ტყე იყო, ბოგირღელის გამოღმა. ოსია ლომიძე იყო”.

პავლეს მიწები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,პავლე გრიგალაშვილი იყო”.

რგვალი მიწები - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხრაეს. ,,გზები ჩამოუდიოდა ორივე მხარეს მრგვალად”.

სანახშირე - ადგ., მთა, სერი, ტყე სამხრეთის მხარეს. ,,ადრე, ძველად აქ ნახშირს წვავდნენ, მე არ მახსოვს”.

სვანი - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,ხის საყარია”.

სვანის წყარო - ადგ; წყარო სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს.

ტბის სერი - ადგ., სერი

უღელტეხილი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.

უღელტეხილის წყარო - ადგ; წყარო სამხრეთის მხარეს. ,,გამოდის კლდეში, ქვედა ვეკეზე”. ქვედა ვაკე - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს.

ღუდის ღელე//ღუდიღელე - ადგ; ღელე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,წისქვილები გვქონდა და ვამუშავედით. საზღვარი იყო ჩვენსა და ღუდელეს შორის”, ,,ჯვართმუხასა და ღუდას ჰყოფს”.

ყარამანები - ადგ; უბანი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. იგივე ლომიძეები.

ყარამანის მიწები - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ყარამანი ლომიძე იყო”.

შუა სერი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.

შუა ტყე - ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ყანებს შუა ჩამოედინებოდა ტყე”.

შუალა ვაკე - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო”.

ჩხეიძეების მიწები - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ჩხეიძეების საყავრე - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.

ჩხეიძეების წყარო - წყარო სოფლის ცენტრში.

ძერიბუდე - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს. ,,ალბათ ძერას ბუდე ჰქონდა”.

წვრიმალა - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს. ,,ნაძვნარი იყო”.

ჭაობი –ადგ., საზოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ჭაობი ადგილია”. ჭიშკარა კლდე - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,ამ გზას ვერ აუქცევ, ეს გზა უნდა გაიარო, ორივე მხრიდან კლდეა”. ხრესილი - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.

ჯერიები - ადგ; უბანი აღმოსავლეთის ნაწილში. იგივე ლომიძეების უბანი.

ჯვართმუხის ღელე - ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს. ,,პატარა ღელეა”.

წაღვლის სათემო საკრებულო

სოფელი ბ რ ო ლ ო ს ა ნ ი

ახოები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.

არსენას მიწები - დგილი ზემო ბროლოსანში.

ბარბაქაძეების გვერდი - ადგ., სათესი ზემო ბროლოსანში.

ბარბაქაძეების უბანი - ადგ; უბანი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს.

ბაღების თავი - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,ბაღები გვაქვს იქ და ამიტომ ვეძახით”.

ბების მიწები – ადგ; სათესი ქვემო ბროლოსანში.

ბროლოსნის სერი - ადგ; სერი

ბროლოსნის ფარდი - ადგილი ქვემო ბროლოსანში.

გიორგის წყარო - ადგ; წყარო ქვემო ბროლოსანში.

გიოს მიწები - ადგ., სათესი ზემო ბროლოსანში

გრძელი მიწები - ადგ., სათესი ზემო როლოსანში

ეკლესიის მიწები - ადგ., სათესი ზემო ბროლოსანში.

ვაკეები - ადგ., ტყე ქვემო ბროლოსანში.

ვალოდიას წყარო - ადგ; წყარო ქვემო ბროლოსანში.

ვაშლის კვარტალი - ადგ., სახნავი დასავეთის მხარეს. ,,ვენახი იყო გაშენებული, ერთი ვაშლის ხე იდგა”.

ზეით ტყე - ადგ., ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

თებროს ღელე - ადგილი ზემო ბროლოსანში.

ილარიონის ტყე - ადგ., ტყე ქვემო ბროლოსანში.

კაჭარები - ადგ., სათესი. ,,კაჭარი - უწყლოს ალაგს რიყის მსგავსი ქვა“.

კვერცხნარი - ადგ., ტყე ზემო ბროლოსანში

კოდისწყაროს გზა - გზა ქვემო ბროლოსანში.

კოკონეების ნაკვეთი - ადგ., სათესი ზემო ბროლოსანში.

ლაკრიასნამოსახლარი - ადგილი

ლენჭი - ადგ; ღელე ზემო ბროლოსანში.

ლენჭის მიწა - ადგ., სახნავი ზემო ბროლოსანში.

მაკარიოზის მიწები - ადგ., სათესი ზემო ბროლოსანში.

მარაღდანისეული - ადგ., სათესი ქვემო ბროლოსანში.

მარაღდანის მინდორი - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო”.

მარაღდანის ღელე - ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს. ,,ქალი ყოფილა, მარაღდანს ეძახდნენ”. მიხეილის მიწა - ადგ., სათესი, საძოვარი.

მურხნისწყაროს ტბა - ადგ., ტყე ზემო როლოსანში

მუხები – ადგ; სალოცავი, სათესი.

მუხის მიწები- ადგ., სათესი ქვემო მიწებში.

ნასერალი - ადგ., სათესი.

ნაფერმები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,ადრე ფერმები მდგარა”.

ნაჩეხები - ადგ., ტყე ქვემო ბროლოსანში.

საბატის მიწები - ადგ., სათესი ზემო ბროლოსანში.

საკირის ღელე - ადგ., სათესი ქვემო ბროლოსანში.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მუნიციპალიტეტის მერებს შეხვდა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა სიმონ გულედანმა, ადმინისტრაციის სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად, რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებთან შეხვედრაზე რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილა.

შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო რეგიონში სოციალური და ინფრასრუქტურული პროექტების მიმდინარეობას. სახელმწიფო რწმუნებულმა ხაზი გაუსვა, რომ უმნიშვნელოვანესია, ყველა პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს პასუხობდეს.

სიმონ გულედანის თქმით, რეგიონში არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად მნიშვნელოვანია კოორდინირებული თანამშრომლობა, რაც პრიორიტეტული საკითხების დროულად და ეფექტიანად მოგვარების შესაძლებლობას იძლევა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, მიწის სისტემური რეგისტრაციის საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა

მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელი პირები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში, ივნისის თვიდან, გაგრძელდება მიწის ნაკვეთების სისტემური აზომვები. მოქალაქეებს, რომლებმაც აქამდე ვერ მოახერხეს რეფორმაში ჩართვა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით, შესაძლებლობა ექნებათ, სრულიად უფასოდ აიზომონ და დაირეგისტრირონ მიწის ნაკვეთები.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროცესებში ჩართულები იქნებიან ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, რომლებსაც აქტიური კომუნიკაცია ექნებათ ადგილობრივ მოსახლეობასა და საჯარო უწყებებთან.

საკონსულტაციო შეხვედრა თემაზე: „მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა ადგილობრივ დონეზე“

ხაშურის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პირველი თვითმმართველი ერთეულია საქართველოში, რომელიც ამზადებს ნებაყოფლობითი

ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტს (VLR), ადგილობრივი განვითარების და SDG-ის მიზნების მიღწევის შეფასებისათვის. სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა „ხაშურის მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, საკონსულტაციო შეხვედრა-ლოკალიზების გაძლიერება“, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ სივრცეში გაიმართა.

შეხვედრა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა გახსნა და დეტალურად ისაუბრა დოკუმენტის

მნიშვნელობაზე და მდგრადი განვითარების მიმართულებით განსახორციელებელ ცვლილებებზე.

საზოგადოებას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების მიმოხილვის დოკუმენტის აბსტრაქტი გააცნო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა.

საკონსულტაციო შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, ახალგაზრდები.

გაეროს ერთობლივი პროგრამა “მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა ადგილობრივ დონეზე” ხორციელდება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის (SDG Fund) დაფინანსებითა და საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის კოორდინაციით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF).

- სპორტი -

ხაშურმა მნიშვნელოვან ტურნირს უმასპინძლა

გასულ კვირას, ხაშურის კომპლექსურმა სასპორტო სკოლამ უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 20 წლამდე სპორტსმენთა შორის. ჩემპიონ-პრიზიორი სპორტსმენები დააჯილდოვა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

გოჩა ქურდაძე: ხაშური ჩემთვის ტკბილ მოგონებებთანაა დაკავშირებული...

ჩვენს მუნიციპალიტეტს და ჩვენს ქალაქს მუდამ ჰყავდა ისეთი ადამიანები, რომლებსაც საკუთარი ღვაწლით, განათლებით თუ შემოქმედებით არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ ქვეყანაში აფასებდნენ. დღეს ერთ-ერთი მათგანი, სულით და გულით ხაშურელი, ამჟამად კი ქვეყნის მრეწველობის ერთ-ერთი გიგანტის - ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი, დოქტორი მეტალურგიაში ბატონი გოჩა ქურდაძეა ჩვენი გაზეთისა და მკითხველის სტუმარი.

- ბატონო გოჩა, ბიოგრაფიული შტრიხები, საინტერესოა ყველა ამბავი თქვენს შესახებ...

- დავიბადე 1962 წელს, ქალაქ ხაშურში, ხაშურის #4 საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, სწავლა განვაგრძე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეტალურგიულ ფაკულტეტზე.

1987 წლიდან დავიწყე პროფესიული მოღვაწეობა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში საამქროს ოსტატის პოზიციიდან, დღემდე - ქარხნის დირექტორობამდე;

- ბატონო გოჩა, რას ნიშნავს თქვენთვის ხაშური, მშობლიური ქალაქი?

- მშობლიური ქალაქი ჩემთვის ტკბილ მოგონებებთან, უდარდელ ბავშვობასთან და მშობლების სიყვარულთან არის დაკავშირებული;

ხაშური გამორჩეული ქალაქია მშრომელი და კეთილსინდისიერი ხალხით, რომელთაც სიტყვის ფასი იციან;

- ბატონო გოჩა, მეტალურგია, ასე ვთქვათ, არ არის „ხაშურული“ პროფსია, რამ განაპირობა თქვნი პროფესიული არჩევანი, ინტერესი მეტალურგიისადმი? როგორ დაიწყო თქვენი „მეტალურგიული“ თავგადასავალი?

- რადგან ზესტაფონი ჩემი დედულეთია, ბავშვობაში ხშირად მიხდებოდა ზესტაფონში დროის გატარება, მონუსხული ვიყავი ფეროშენადნობთა ქარხნის სიდიადით და მასშტაბებით.

მეტალურგია ჩემ-თვის ბავშვობიდან ასოცირდებოდა სირთუ-ლეების ჭიდილთან, ძლიერი ხასიათის, ლითონივით მტკიცე პროფესიასთან;

- ჩვენი საუბრის ძირითადი ხაზი, ბუნებრივია, ხაშური იქნება და კიდევ ერთი კითხვა ჩვენს ქალაქზე, სხვა ხაშურელ მეტალურგებს იცნობთ?

- ხაშურში ბევრი ნიჭიერი თაობა აღიზარდა, ჩემი მშობლიური სკოლის დირექტორის, ალიოშა შათირიშვილის შვილი თამაზ შათირიშვილი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში წამყვან პოზიციაზე წლების მანძილზე მოღვაწეობდა. აგრეთვე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გვყავს ხაშურის მკვიდრი, გამოცდილი და პროფესიონალი მეტალურგი ლევან არევაძე, რომელიც წლების მანძილზე საამქროს უფროსად მუშაობდა;

- ბატონო გოჩა, ჩვენდა გასაოცრად, ვიცნობთ მოსწავლეებს, ვინც მეტალურგიით დაინტერესდნენ, რას ურჩევდით პროფესიული არჩევანის წინაშე მყოფ ახალგაზრდებს?

- მეტალურგია ამოუწურავი, მუდმივად განვითარებადი და საინტერესო დარგია. ახალგაზრდებმა უნდა შეგვცვალონ, გამოიყენონ ქვეყნის წიაღისეული და ის ცოდნა-გამოცდილება, რაც წინაპრებისგან ერგოთ;

- ოჯახი, პირადი ამბები, თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები...

- მყავს მეუღლე, ორი ვაჟი და ოთხი შვილიშვილი.

ჩემი თავისუფალი დრო ეთმობა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას და წარმოების განვითარებას;

- შვილები თუ წავიდნენ მამის კვალზე?

- შვილებმა სხვა პროფესიები აირჩიეს, სამაგიეროდ შვილიშვილები არიან დაინტერესებულნი და აპირებენ წასვლას ბაბუის კვალდაკვალ;

- ბატონო გოჩა, თქვენი წარმატებული და საინტერესო ცხოვრების მთავარი ამბავი?

- წარმატებას ვერ მიაღწევ დიდი შრომისა და გამბედაობის გარეშე, მეტალურგია ისეთი დარგია უნდა შეძლო რისკების მართვა, არსებობს საკითხები, რომლებიც ერთი შეხედვით მარტივი გვეჩვენება, მაგრამ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული - სირთულეების გადალახვა ჩემი ცხოვრების კრედოა;

- როგორც ცნობილია, მეტალურგია სტრატეგიული მნიშვნელობისაა ყველა ქვეყნისთვის.

- მეტალურგია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ფეროშენადნობების მრეწველობაზე მოდის საქართველოს საექსპორტო შემოსავლების 1/5, რაც წარმოადგენს სახელმწიფო სავალუტო რეზერვების შემავსებელ ერთ-ერთ ძლიერ წყაროს;

- ვნახეთ თქვენი ნაშრომი მეტალურგიის შესახებ. თავსებადია მენეჯერული საქმიანობა სამეცნიერო საქმიანობასთან?

- მეტალურგიის სფეროში ოთხი ათწლეულის მანძილზე, დიდი ცოდნა გამოცდილება დავაგროვე, რაც მაძლევს იმის საშუალებას სამეცნიერო კუთხით კიდევ უფრო განვვითარდე და ქარხნის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდეს.

სამეცნიერო მიმართულებით მონიჭებული მაქვს დოქტორის წოდება მეტალურგიაში, ვარ ასოცირებული პროფესორი - ვახორციელებ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს მეტალურგიულ ინსტიტუტთან. ვარ ათეული პუბლიკაციისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, პატენტმფლობელი - ქარხანაში მოქმედებს ჩემი ხუთი გამოგონება;

- სურამში, ალბათ, თქვენთვისაც ცნობილია, რომ ჭარბი რაოდენობითაა ე.წ. „რკინის წყალი“. რას ნიშნავს ეს სპეციალისტის შეფასებით, რკინის მადნის არსებობას?

- „რკინის წყალი“ რკინის ჟანგის შემცველობის გამო დაერქვა, ბუნების საჩუქარია, მეტალურგიასთან არ არის კავშირში;

- დღეისათვის, რომელი ქვეყნები ყიდულობენ თქვენი ქარხნის მიერ წარმოებულ პროდუქციას?

- ჩვენი პროდუქციის ექსპორტი მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს, რადგან გამოირჩევა განსაკუთრებული ფიზიკური და ქიმიური შემადგენლობით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერეს.

თ. ახალკაცი

აღინიშნა ოჯახის სიწმინდის დღე

ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებით, გორში, მაცხოვრის აღდგომის მშენებარე საკათედრო ტაძარში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი აღევლინა, რის შემდეგაც

გაიმართა მსვლელობა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მიმართულებით.

საზეიმო მსვლელობაში შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა სიმონ გულედანმა ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მიიღო მონაწილეობა.

გორში გამართულ მსვლელობას მოქალაქეები შიდა ქართლის რეგიონის ქალაქებიდან, მათ შორის, ჩვენი მუნიციპალიტეტიდანაც შეუერთდნენ.

ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, ილია II-ის ინიციატივით 2014 წელს დაწესდა.

„მინდა, სრულიად საქართველოს მივულოცო დღევანდელი დღე. ჩვენთვის ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი თარიღი. ქალაქ გორში აღევლინა ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი და შემდგომ, გაიმართა საზეიმო მსვლელობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შიდა ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების მოსახლეობამ. მოხარული ვარ, რომ ძალზე ბევრი ადამიანი შეიკრიბა და ჩვენს რეგიონში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ამ დღის საზეიმოდ აღნიშნა“, - აღნიშნა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა სიმონ გულედანმა.

18 მაისს მიხეილ მურვანიშვილის დაბადების დღე აღნიშნეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, მერის მოადგილემ ზვიად გოგუაძემ და სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომელმა მზია ლობჟანიძემ მის ხსოვნას პატივი მიაგეს, ბიუსტი გვირგვინით შეამკეს და ქართველი მეტყევისა და მეცნიერის ფასდაუდებელ ღვაწლზე ისაუბრეს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, საკრებულოს თავმჯდომარემ, მეტყევისა და მეცნიერის ხსოვნის უკვდავსაყოფად არაერთი ინიციატივა წამოჭრა და განხორციელების გზები დასახა.

აღსანიშნავია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, სამუზეუმო გაერთიანებაში დაცული მასალების მიხედვით , მზია ლობჟანიძემ, მიხეილ მურვანიშვილზე შეადგინა კრებული, რომელიც გამოიცა 2024 წელს. წიგნში წარმოდგენილია საქართველოს ბუნების ამაგდარის, ქართველი მეტყევის, საქართველოში ტყის გაშენების ერთ-ერთი ორგანიზატორის, ტყეების დაცვის, მოვლისა და აღდგენის საქმის დიდი ენთუზიასტის, საზოგადო მოღვაწის და სამაგალითო ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნების, მიხეილ მურვანიშვილის ცხოვრება და ღვაწლი საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტებში.

სწორედ მიხეილ მურვანიშვილის წყალობით შეიძინა სურამმა უნიკალური კურორტის დანიშნულება.

მიხეილ მურვანიშვილი გარდაიცვალა 1959 წელს.

დაკრძალულია სურამში, ბაიანთხევის ტყეში.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.